ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48.482111033**

თარიღი:**20/04/2021**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარეული ცხოველის (მგლის და ტურის) რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის, „გარეულ ცხოველთა რაოდენობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N574 დადგენილებისა და ,,2020-2021 წწ. გარეულ ცხოველთა იმ სახეობების ჩამონათვალის დადგენის შესახებ, რომელთა რაოდენობის რეგულირების ღონისძიება მუნიციპალიტეტებმა შესაძლებელია განახორციელონ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე'' საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 7 ოქტომბრის N 2-904 ბრძანების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარეული ცხოველის (მგლის და ტურის) რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების წესი დანართის შესაბამისად.(თან ერთვის)

2.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს.

3.ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4 .ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ.ქუთაისი,კუპრაძის ქ. №11).

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი